საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

Ministry of education, science and youth of Georgia

ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

Kareli educational resource center

10/12/2024

MES 9 24 0001591453

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალაქ ქარელის საგანმანთლებლო რესურსცენტრის 2024 წლის ანგარიში

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის (შემდგომში-რესურსცენტრი) 2024 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2016 წლის 25 ნოემბრის №2-74 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია რესურსცენტრის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-საქმისმწარმოებელი, ლიკა ნიკოლაძე.

ა) 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე რესურსცენტრში შემოვიდა 13 მოთხოვნა. რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ბ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

გ) 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

დ) რესურსცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით რესურსცენტრის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები რესურსცენტრს არ ჰქონია.

ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2024 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	13 (ცამეტი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

მარიამ საზანდრიშვილი
ქალაქ ქარელის
საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
საზანდრიშვილი მარიამ

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული